პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 195 (6250)

1978 წ.
4 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე



ქვირას ჭიათურის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს მორიგი პირად-გუნდური ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავისა და ზონებში გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები. გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს.

ეს სურათები სწორედ იქაური ასპარეზობის მონაწილეებზე მოგვითხრობენ. ტურნირი მარტო იმით კი არ იყო ალსანიშნავი, რომ მან ჩვენი სპორტსმენების ტექნიკური შედეგების ერთგვარი ზრდა დაადასტურა, არამედ ხელი შეუწყო სხვადასხვა კოლექტივის წარმომადგენელთა დაახლოებას. ზემო ფოტოზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარებენ (მარცხნიდან მარჯვნივ) ჭიათურელი ა. აბაშიძე, სამხრეთ ოსეთის გუნდის წევრი თ. ქელეხსაევა, აფხაზეთიდან მ. მატეი და თბილისელი მ. გუმბერიძე. ქვევით მარცხნივ — მეორე საფეხურის მრავალჭიდელი გოგონები კროსის დისტანციაზე; მეორეზე საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფის შეჯიბრებაში მონაწილე ვაჟები ასპარეზობის დროს.

ბ. ქვათაძის ფოტოები.

●

(შეჯიბრების ანგარიში იხ. უახლოეს ნომერში).





## ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1 ოქტომბრისთვის ასეთია:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი

| | ადგილები I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 207 | 191 | 175 | 4.065,0 |
| აფხაზეთის ასსრ | 7 | 10 | 12 | 213,0 |
| აჭარის ასსრ | 16 | 4 | 9 | 197,0 |
| ქუთაისი | 9 | 7 | 13 | 185,0 |
| რუსთავი | 8 | 13 | 10 | 183,0 |
| გორი | 8 | 9 | 6 | 162,0 |
| ფოთი | 2 | — | 4 | 37,0 |
| სამხრეთ ოსეთი | — | 2 | — | 6,0 |
| ჭიათურა | — | — | 1 | 2,0 |
| წყალტუბო | — | — | 1 | 0 |

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

| | I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" | 56 | 45 | 57 | 1200,0 |
| „ბურევესტნიკი" | 52 | 51 | 31 | 991,0 |
| „განთიადი" | 27 | 35 | 34 | 713,0 |
| „შრომითი რეზერვები" | 29 | 34 | 31 | 691,0 |
| „ლოკომოტივი" | 25 | 18 | 10 | 459,0 |
| „სპარტაკი" | 23 | 26 | 24 | 445,0 |
| ასკ | 29 | 23 | 24 | 422,0 |
| „კოლმეურნე" | 14 | 16 | 29 | 282,0 |
| „ვოდნიკი" | 12 | 2 | 8 | 187,0 |

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

| | I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| ბორჯომის რაიონი (ზამთრის სახეობები) | 6 | 3 | 5 | 109,0 |
| მახარაძის რაიონი | 2 | — | — | 85,0 |
| მცხეთის რაიონი | 2 | 2 | 2 | 33,0 |
| კასპის რაიონი | 5 | 2 | 3 | 34,0 |
| ზესტაფონის რაიონი | 1 | — | 1 | 15,0 |
| ახალციხის რაიონი | — | 2 | — | 15,0 |
| საჩხერის რაიონი | — | 2 | — | 12,0 |
| წითელწყაროს რაიონი | — | 1 | — | 12,0 |
| გარდაბნის რაიონი | — | — | 1 | 2,0 |
| თელავის რაიონი | 1 | — | 4 | 0 |
| ახმეტის რაიონი | 1 | 1 | — | 0 |
| მესტიის რაიონი | — | — | 1 | 0 |

შენიშვნა: I გრაფაში — „დაკავებული ადგილები" აღნიშნულია ცენტრალური საბჭოებისა და საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში, სსრ კავშირის პირველობებსა და ჩემპიონატებში, ევროპისა და მსოფლიო პირველობებსა და ჩემპიონატებში და საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა.

II გრაფაში — „ქულები" გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში მოგროვებული ქულები. აქ პირველი ადგილისთვის იწერება 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1 სათანადო კოეფიციენტების გათვალისწინებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.

## რაგბი

უკვე ვიტყობინებოდით, რომ გასულ კვირას თბილისისა და კიევის სტადიონებზე გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების ფინალური ტურნირის დასკვნითი შეხვედრები, რომლებმაც ნათელი მოჰფინეს მედლებისთვის მებრძოლი კოლექტივების საბოლოო მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, „ავიატორმა" კიევში ძლიერ ლიდერს — მოსკოვის „ფილის" — 10:0 და ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო თბილისში „ლოკომოტივმა". „სლავას" დამარცხებით (10:6) საბოლოოდ 20 ქულას მოუყარა თავი, იმდენივეს, რამდენიც „ფილის" ჰქონდა. ბურთების შეფარდებით რაგბისტები მოსკოველებზე წინ აღმოჩნდნენ, მაგრამ ვერცხლის მედლებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. II ადგილი მიეკუთვნა „ფილის", რომელმაც თბილისის „ლოკომოტივთან" სამი მატჩიდან ორი მოიგო.

კიევის „პოლიტექნიკამ" ფინალურ ტურნირში ამ დღეს ერთადერთ გამარჯვებას მიაღწია — მოსკოვის „ლოკომოტივს" სძლია — 25:12.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ავიატორი" | 9 | 3 | 3 | 194—113 | 21 |
| „ფილი" | 9 | 2 | 4 | 137—128 | 20 |
| „ლოკომ." თბ. | 8 | 4 | 3 | 193—136 | 20 |
| „სლავა" | 7 | 1 | 7 | 205—132 | 15 |
| „ლოკომ." მ. | 4 | 2 | 9 | 119—164 | 10 |
| „პოლიტექ". | 2 | 0 | 13 | 131—306 | 4 |

ალმა-ათაში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. საინტერესო გამოდგა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურ სპორტკლუბისა (სსფ ცს) და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების მატჩი. როგორც ცნობილია, მოსკოველი მეზღვაურები ლიდერობენ გათამაშებას, ხოლო სტუდენტები ერთ-ერთ საპრიზო ადგილს უმიზნებენ. მატჩი მოიგეს მეზღვაურებმა — 5:4. მინსკის სკიფ-მა დაამარცხა ტაშკენტის „მეხნატი" — 5:3, ლვოვის „დინამომ" — ხარკოვის „ლოკომოტივი" — 6:4, „მოსკვიჩმა" — კიევის „დინამო" — 6:3. წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (წკფ) გუნდისა და მოსკოვის „დინამოს" მატჩი დამთავრდა ფრედ — 6:6.

თბილისის „დინამო" ეთამაშა ალმა-ათის თანაკლუბელებს. მატჩი ყაზახეთის წარმომადგენელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათი იოლი გამარჯვებით — 10:3.

მომდევნო ორი ტური შედარებით ძლიერად ჩაატარეს თბილისელმა წყალბურთელებმა. ლიდერებთან, მოსკოვის მეზღვაურებთან შეხვედრაში ჩვენი გუნდი დიდი ამხანაგობით მოქმედებდა. პირველი პერიოდი დამთავრდა ფრედ — 1:1. მომდევნო პერიოდებში წინ გავიდნენ მოსკოველები, მაგრამ დინამოელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 6:6. მინსკის სკიფ-თან მეოთხე პერიოდამდე ანგარიში იყო 6:6. ბოლო ხუთ წუთში თბილისელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის ტყორცნა და გამარჯვების მოპოვება — 7:6. ლიდერთა შეხვედრებიდან აღსანიშნავია მოსკოველ მეზღვაურთა წარმატება. მათ მოუგეს „მოსკვიჩს" — 7:3, მოსკოვის დინამოელებმა სძლიეს ტაშკენტის „მეხნატს" — 6:5, მოსკოვის უნივერსიტეტმა — ხარკოვის „ლოკომოტივს" — 5:4.

დასკვნითი 3 ტურის წინ 32 ქულით ლიდერობენ მოსკოველი მეზღვაურები. 28 ქულა აქვს მოსკოვის „დინამოს", 25 — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს. მომდევნო ადგილებზე არიან ალმა-ათის „დინამო" (25), კიევის „დინამო" და წკფ (18-18), თბილისისა და ლვოვის „დინამო" (17-17), „მოსკვიჩი" (16), „მეხნატი" (14), ხარკოვის „ლოკომოტივი" (11), სკიფ-ი (6).

## წყალბურთი

## მშვილდოსნობა

ხელვაჩაურის რაიონის სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის მშვილდოსანთა თასის გათამაშება. მონაწილეობდნენ თბილისის (2), ქუთაისისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები. შედეგებით უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ — სამმა მალგაზრდამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

### იზრდება სპორტის ოსტატთა რიგები

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ვ. მჭედლიშვილს, ამავე ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათსაშენი ფაკულტეტის მეორეკურსელს ა. სიდოროვასა და ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის პირველკურსელს ი. მარტინოვას სამი დისტანციის მერე რეალური შანსი მიეცათ სპორტის ოსტატები გამხდარიყვნენ.

ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ იასპარეზებდნენ ისინი ბოლო დისტანციებზე. საჭირო იყო საბრძოლო თვისებების გამოვლენა. ყოველ სერიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტრიოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი შესაძლებლობა. ა. სიდოროვამ (1121 ქულა) და ი. მარტინოვამ (1126) ოსტატობა მე-2 ვარჯიშის მეორე წრეში შეასრულეს, ხოლო ვ. მჭედლიშვილმა მე-2 ვარჯიშში (2210 ქულა).

ვაჟთა შორის სამივე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ დედაქალაქის წარგზავნილებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვ. ტროპინს (2424 ქულა), სპორტის ოსტატებს ნ. ნოვოსელცოვსა (2353) და ი. ლოვინოვს (2347).

ქალებში გაიმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ე. გოლუბევამ (2392) ქულა. მას 105 ქულით ჩამორჩა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. რიჟამაძე (თბილისი). მესამე ადგილზე გავიდა ბათუმელი სპორტის ოსტატი ლ. ტოპოროვა — 2192 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა ნაკრებმა. ახლა საქართველოს ნაკრები კოლექტივი ემზადება სეზონის ბოლო ტურნირისთვის — საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისთვის. ეს დიდი შეჯიბრება გაიმართება ოქტომბრის მესამე დეკადაში თურქმენეთის დედაქალაქში.

რ. კაცობაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები




თუ თქვენ გულგრილი არა ხართ ბუნების მიმართ, თუ გსურთ გაკაჟდეთ და კარგად დაისვენოთ, აილეთ ზურგჩანთა და დაადექით თვალწარმტაც ტურისტულ მარშრუტებს. ამ ზაფხულს ბაიკალს ქვეყნის ყველა კუთხიდან ათასობით დამსვენებელი ესტუმრა.

ს უ რ ა თ ზ ე: ბაიკალის „კუნძულზე“.

საქდესის ფოტო.

## მომავალი ოლიმპიელებისთვის

მინსკთან ახლოს, კომკავშირის ტბის ნაპირას სტუმართმოყვრულად გაალო კარი ახალმა სპორტულმა კომპლექსმა. აქ მოწყობილია დარბაზები ტანვარჯიშისა და ფარიკაობისთვის, ხოლო „სპორტის დედოფლის“ მოყვარულებისთვის — სპორტანით დაფარული 200-მეტრიანი სარბენი ბილიკი, სახტომი და სატყორცნი სექტორები. არის დასასვენებელი ოთახიც.

ახალი სპორტული ნაგებობის მასპინძლები არიან „ოლიმპიური რეზერვის“ ბავშვთა და მოზარდთა სკოლის მოსწავლეები.

ვ. დუტოვი.

მინსკი.




ჰიდაობა ძიუდოს ლატვიაში შედარებით გვიან, 15-ოდე წლის წინათ ეზიარნენ, მაგრამ სპორტის ამ სახეობამ ახალგაზრდებში მაშინვე ჰპოვა აღიარება. რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი სკოლა ჩამოყალიბდა რიგის „დინამოში“. ამჟამად იქ 120-ზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი მეცადინეობს.

ს უ რ ა თ ზ ე: სკოლის უფროსი მწვრთნელი ვ. ბონდარენკო თავის აღსაზრდელებთან.

საქდესის ფოტო.

# მეტი გარჯაა საჭირო

სრული გუნდებით საასპარეზოდ მასპინძლების — სამტრედიელი მშდ კომპლექსის მრავალჭიდელების გარდა, მოვიდნენ ვანის, მახარაძისა და ჩოხატაურის კოლექტივები, ყველაზე მცირერიცხოვანი ლანჩხუთის რაიონის ხაკრები იყო (8 კაცი). ეტყობა, ამ რაიონში ფეხი ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა მშდ კომპლექსმა, სათანადო დონეზე არ ტარდება მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების გათამაშების პირველი და მეორე ეტაპის შეჯიბრებები — შიდასაკოლექტივო ტურნირები და რაიონული ჩემპიონატები, ამიტომაც ძლიერი სპორტსმენების აღზრდასაც ვერ ახერხებენ.

მაგრამ რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი გ. ფაცურია და ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე თ. ქერქაძე სწორად მოიქცნენ, როცა ზოგიერთი სხვა რაიონების ხელმძღვანელებივით, სუსტი სპორტსმენებიდან სრული გუნდების დაკომპლექტებას არ გამოეკიდნენ. სამწუხაროდ, იმედი იმ 8 ნიშნოსნიდანაც ვერავინ გაამართლა და გუნდი 0 ქულით ბოლო ადგილზე დარჩა. სწორედ ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ლანჩხუთის რაიონში მშდ კომპლექსი მისი საკმაო ასაკის — 6 წლის მიუხედავად, ჯერ კიდევ პოპულარობით ვერ სარგებლობს.

სამტრედიის ზონალური შეჯიბრების მაღალი დონისთვის რაიონის კომკავშირულმა, ფიზკულტურულმა და დოსააფის ორგანიზაციებმა ყველაფერი გააკეთეს. ასპარეზობის მონაწილეებს დაეთმოთ საუკეთესო ბაზები, გუნდებზე შეფობა დაევალათ ქალაქის ორგანიზაციებს, შეფების უმეტესობამ ვალი პირნათლად მოიხადა.

სამდღიან ასპარეზობაში გუნდური გამარჯვება და რესპუბლიკური პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მასპინძლებმა, რომლებმაც 600 ქულა მოაგროვეს, II ადგილზე გავიდნენ ჩოხატაურის მრავალჭიდელები — 534, III — ვანის გუნდი — 204.

პირად პირველობაში სულ 150-მდე ნიშნოსანი გამოდიოდა. I საფეხურის ნიშნოსან გოგონებში 7 მონაწილიდან შეჯიბრება სამმა დაამთავრა — ო. შარაშიძემ (ჩოხატაური — 50 ქულა), ლ. ჩერემისინამ (მახარაძე, 39) და გ. ელიზაროვამ (სამტრედია, 39). ბიჭებში ყველას აჯობა ზ. სტურუამ (სამტრედია), რომელმაც სტაბილურად იასპარეზა ყველა სახეობაში და 81 ქულას მოუყარა თავი. მომდევნო ადგილები ერგოთ გ. ბარამიძესა (ჩოხატაური — 75) და გ. მიგენეიშვილს (აბაშა — 69).

II საფეხურის ნიშნოსნებიდან, როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში პნევმატური შაშხანის სროლაში თავი ვერავინ გამოიჩინა —




### საქართველოს ზონალური პირველობა

გუნდებსაც ვერაფერი არგეს, თუმცა არც სხვა სახეობებში ჰქონდათ კარგი შედეგები, მაგალითად ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში ასპარეზობიდან 5 ბავშვი გამოთიშა, ცურვამ — 3...

საერთო შედეგები დაბალი რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მესამე საფეხურის 39 მრავალჭიდელიდან შეჯიბრება რის ვაივაგლახით ცხრამ დაასრულა. მათ შორის სამმა ვაჟმა — სამტრედიელებმა გ. კალანდარიშვილმა (53 ქულა), ა. ულუმბეგაშვილმა (41) და ჩოხატაურელმა ზ. პაიჭაძემ — 36. ქალიშვილებში უძლიერესი გამოდგა ზ. კალანდაძე (ჩოხატაური) — 84 ქულა. იგი ცუდად ცურავს, თორემ სხვა სახეობებში დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვა. მან აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია მრავალჭიდში. ამდენი ქულა სხვა არც ერთ საფეხურის არც ერთ ნიშნოსანს არ მოუპოვებია. კალანდაძეს 16 ქულით ჩამორჩა მ. მხეიძე (მახარაძე) და 18 ქულით — თანაგუნდელი [illegible].

IV საფეხურის [მეორე ასაკობრივ] [illegible] პირველობა მოიგო ლ. შალამბერიძემ (ვანი) — 57 ქულა, რომელსაც 3 ქულით ჩამორჩა მ. ქურცუა (მახარაძე). სხვები ამაოდ გაისარჯნენ. ვაჟებში უძლიერესმა ი. აფანასიევმა 59 ქულა მოაგროვა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. სიხარულიძე (ორივე — ჩოხატაური) — 56 და გ. ადეიშვილი (სამტრედია) — 55.

ამავე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში ვაჟთა შორის სამივე საპრიზო ადგილი სამტრედიელებმა თ. სანებლიძემ, თ. ლომსაძემ და ვ. კაშიამ მოიგეს. ქალებში შეჯიბრება ვერავინ დაამთავრა.

ძალიან მცირერიცხოვანი იყო V საფეხურის ნიშნოსანთა რიცხვი — სულ 2 ქალი და 7 კაცი ცდიდა ძალას. ქალები — სამტრედიელი ლ. ნატმელაძე და მაიაკოვსკელი გ. გოქსაძე ამაოდ გაისარჯნენ. პირველმა ცურვა არ იცოდა, მეორემ — ცუდად ისროლა. მხოლოდ ვაჟებში გაირკვა პრიზიორთა ვინაობა. ყველას აჯობა უ. შენგელიამ (სამტრედია) — 55 ქ.

გუნდურ ტურნირში გამარჯვებული სამტრედიის რაიონის მშდ კომპლექსის მრავალჭიდელებიდან ჩათვლა მხოლოდ ნახევარმა — 11 ნიშნოსანმა მიიღო, ჩოხატაურის გუნდიდან — ცხრამ, ვანის კოლექტივიდან — ოთხმა.

წულუკიძის 15-კაციან კოლექტივში მარტო I საფეხურის ნიშნოსანი ბიჭი კ. ჭელიძე აღმოჩნდა, რომელმაც შეჯიბრების ბოლომდე გაძლო — (61 ქულა მოაგროვა), მაიაკოვსკის გუნდიდან კი ა. გრძელიძე, რომელმაც ჭელიძეს 5 ქულით აჯობა. არა და, მაიაკოვსკელები რესპუბლიკის ნაკრებს ადრე მუდამ კარგ შევსებას აძლევდნენ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი რაიონების მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა ყველაზე სუსტ ადგილად რჩება სროლა. მაშასადამე, დოსააფის ორგანიზაციები. ადგილობრივი და რაიონული კომიტეტები ამ მიმართებით კვლავ ცუდად მუშაობენ.

ა. ძველაია,
ი. ნიკოლეიშვილი.

# დანაშაული და სასჯელი

### საქართველოს სპორტკომიტეტში

ჯუმბერ ფხაკაძემ, როგორც სპორტსმენმა მწვრთნელის გ. მაიერის ხელმძღვანელობით სწრაფად იწყო ზარდა — შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მერე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატიც გახდა, საქართველოს რეკორდი თითქმის 20 მეტრით გაზარდა და იგი 77 მეტრს გადააცილა. ფხაკაძე ცხადია, უდავოდ ნიჭიერი უროს მტყორცნელი გახლდათ, მაგრამ ძალიან პატივმოყვარე გამოდგა, გაყოყოჩდა, ყურს აღარ უგდებდა საქართველოს სპორტკომიტეტის, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მძლეოსნობის სპეციალისტების რჩევას. მისი ჭირვეულობა იქამდეც კი მივიდა, რომ მაიერის შეცვლა ი. ბარსლავათი მოახერხა.

ფხაკაძეს უკვე 1973 წლიდან თანდათან შეეპარა დიდი შეჯიბრებების შიში, ყოველნაირად თავს არიდებდა საკავშირო ტურნირებში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვას. ხანდახან საუწყებო ასპარეზობებში თუ გამოდიოდა, სადაც შედეგებსაც აღწევდა, ამიტომაც იგი ქვეყნის ნაკრების კანდიდატად ჩარიცხეს, მაგრამ...

ჯ. ფხაკაძემ თავის რესპუბლიკას ქულები ვერც I საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მოუპოვა, ვერც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, ვერც საკავშირო ჩემპიონატებსა და პირველობებში. კრიტიკულ მომენტში, როცა მისგან უროს სატყორცნ სექტორში ასპარეზობას მოითხოვდნენ, გამოსავალს მუდამ ნახულობდა, ხან ხელის ტკივილს იმიზეზებდა, ხან მკლავისას ან ფეხისას.

ასე იყო წელს თბილისში „პრავდის“ პრიზებზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების დროსაც. მაშინ ფხაკაძემ ასპარეზობას, რომელშიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ათლეტი გამოდიოდა, თავი უმიზეზოდ აარიდა. ეს მანევრიც შერჩა. მერე, საქართველოს ჩემპიონატში რესპუბლიკის მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ხელმძღვანელობამ რის ვაივაგლახით გამოიყვანა, რომ საკავშირო ჩემპიონატის წინ შეემოწმებინათ თუ როგორ ემზადებოდნენ იმ დიდი სტარტისთვის სპორტსმენი და მისი მწვრთნელი ი. ბარსლავა. რესპუბლიკის ჩემპიონობის მოპოვება ფხაკაძეს, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია.

და აი, სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისს საკავშირო პირველობაც ეწვია. მაშინ, როცა ჯ. ფხაკაძის თანაგუნდელები ვ. სანეევი, ნ. ლაბაძე, ს. გუმბა და სხვები ოფლს ღვრიდნენ, რომ რესპუბლიკისთვის რაღაც ერგოთ, ფხაკაძე შეჯიბრებიდან თავის დაძვრენის ახალ ვარიანტს ეძებდა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობას უკანასკნელ მომენტამდე არწმუნებდა, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა.

მაგრამ წინასწარ ტურნირზე არ გამოცხადდა. რა იყო ეს? რესპუბლიკის ინტერესების უგულებელყოფა, ოლიმპიურ ჩემპიონთან ი. სედიხთან და სხვა უროსმტყორცნელებთან მოსალოდნელი ბრძოლებით გამოწვეული შიში?

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტში მკაცრად იმსჯელეს ჯ. ფხაკაძის ამ საქციელზე, დანაშაულისთვის იგი სათანადოდ დასაჯეს: შეჯიბრებებიდან რეგულარულად თავის არიდებისთვის, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების გაცდენისთვის, რესპუბლიკის კოლექტივის ინტერესების უგულებელყოფისთვის, მზადების ინდივიდუალური გეგმის შეუსრულებლობისთვის ფხაკაძე გამოიყვანეს საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდიდან და დისკვალიფიკაცია მისცეს 2 წლით, ამასთან საკავშირო სპორტკომიტეტს ეთხოვა ჯ. ფხაკაძეს მოუხსნას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა და სპორტის ოსტატის წოდებები, გამოიყვანოს ქვეყნის ნაკრებიდან.

სპორტკომიტეტმა ი. ბარსლავას, რომელმაც ვერ უზრუნველყო ჯ. ფხაკაძის ნორმალური აღზრდა, აუკრძალა საქართველოს ნაკრების წევრებთან მუშაობა.

### ✦ ზუგდიდი

მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სარაიონო პირველობა ლელობურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ცაიშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობის ლელობურთელებმა (მწვრთნელი ლ. გარდავა). მომდევნო ადგილებზე არიან ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის წარმომადგენლები.

კ. ფიფია.

### [illegible]

### ✦ აბაშა

აბაშის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ორგანიზაციაში მოეწყო რაიონის პირველობა ავტომობილის ფიგურულ ტარებაში. შეჯიბრებაში 70-ზე მეტმა მძღოლმა მიიღო მონაწილეობა. მსუბუქი ავტომობილების ტარების შეჯიბრებაში ყველას აჯობა ტ. მანელაშვილმა. მეორე იყო ტ. ფირცხალავა, მესამე — ზ. ჯახაია. სატვირთო ავტომანქანების მძღოლებს შორის გაიმარჯვა ზ. ცომაიამ. მეორე ადგილი ხვდა ვ. ცომაიას, მესამე — ჰ. ქოიავას. ავტომობილისტთა შეჯიბრებამ, რომელიც დოსააფის რაიონული საბჭოს თაოსნობით მოეწყო, აბაშელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

რ. ჭანტურია.

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი






ორ წელიწადზე ნაკლები რჩება მოსკოვის ოლიმპიადის გახსნამდე. ოლიმპიური ჩირაღდანი პირველად აგიზგიზდება სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში. თამაშებისთვის სახეს იცვლის ლუჟნიკის სტადიონის დიდი სპორტული სარბიელი. ახლა აქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

სურათებზე: დიდი სარბიელის რეკონსტრუქცია, მარჯვნივ — ოლიმპიური პლაკატი, რომელიც გამომცემლობა „პლაკატმა“ გამოსცა.

### ახალი დირექცია

**ამ დღეებში** მოსკოვში გაიმართა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის კულტურული პროგრამისა და კულტურული მომსახურების კომისიის სხდომა. მისმა მონაწილეებმა გამოთქვეს აზრები მოსკოვის თამაშებისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებების შექმნის საქმეში ქვეყნის გამოჩენილ ხელოვანთა უფრო ფართო და აქტიური მიზიდვისათვის. შექმნილია „ოლიმპიადა-80“-ის კულტურული პროგრამის ცენტრალური დირექცია (დირექტორი — გ. ავაჯანოვი).

### ხ ათასამდე არხი

**მოსკოვის** ოლიმპიადის დღეებში მოქმედებაში შევა რადიოსარელეო ხაზების ფართო ქსელი, რომელშიც ჩაერთვება 60 სატელევიზიო და 5 ათასამდე საკომენტატორო და სარეჟისორო არხი.

### ოლიმპიური თემატიკა

**სოფიის** სპორტის სასახლე „საფესტივალოში“ გაიმართა წიგნების XI საერთაშორისო გამოფენა. მასში წარმოდგენილი იყო 31 ქვეყნის 566 გამომცემლობისა და 86 ფირმის პროდუქცია. დამთვალიერებელთა დიდი ყურადღება მიიპყრო ოლიმპიური სერიის წიგნებმა, რომლებიც გამოუშვეს გამომცემლობებმა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ (სსრ კავშირი), „სპორტფერლაგმა“ (გდრ), „მედიცინა ი ფიზკულტურამ“ (ბულგარეთი) და სხვ.

### სპარტაკიადის „ახლი“

**აშშ-ის** სპორტის ისტორიაში პირველად გაიმართა ფესტივალი, რომლის მიზანი იყო ნიჭიერ ათლეტთა შერჩევა მოსკოვის ოლიმპიადისათვის. ცნობილი ამერიკელი სპორტული მოღვაწის და ბიზნესმენის ტ. ტარნის [illegible] იდეით, გავლილი შეჯიბრება სსრ კავშირის [illegible] ერთგვარ „[illegible]“ [illegible].

### ახალი კოშკი

**პირიტაში** ოლიმპიურ საფრონსნო ცენტრის გვერდით შენდება ახალი სატელევიზიო კოშკი. ოლიმპიადა-80-ის დღეებში ტალინელები ნახავენ ფერად გამოსახულებას. ისინი სამი სატელევიზიო და ოთხი რადიოარხით გადმოიცემა.

## ხუთი რგოლის ემბლემით

### ავტომანქანებისათვის...

**მოსკოვის** ოლიმპიადაზე სპორტსმენების, ოფიციალური პირების, სტუმრების მომსახურებისათვის საჭირო იქნება 10 ათასი ავტობუსი, მსუბუქი და სატვირთო მანქანა. მრავალი ავტოტურისტი ჩამოვა, აგრეთვე, „ბორბლებით“. ცხადია, ეს დიდძალი ტრანსპორტი მოითხოვს მომსახურებას, საწვავით უზრუნველყოფას. ამჟამად მოსკოვში 180 სტაციონარული და 22 მოძრავი ავტომომსახურების სადგურია, რამდენიმე ავტოპუნქტი. ახლა აქ შენდება 5 ახალი სადგური, რომლებსაც შემდგომში კიდევ 20 მიემატება.

## „სოფელი“ და მისი მშენებლები

**1980 წლის** ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დიდი ხნის წინ, ოლიმპიურ სოფელში, სადაც სპორტსმენები იცხოვრებენ, გაისმის საუბარი სხვადასხვა ენაზე. ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხის — ბაქოსა და ვლადივოსტოკის, ერევნისა და კიევის, თბილისისა და ტაშკენტის წარგზავნილები კომკავშირული საგზურებით ჩამოვიდნენ აქ, რათა ააშენონ ქალაქი ოლიმპიური სოფლის სახელწოდებით.

— 18-დან ექვსი თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი უკვე აშენდა, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის შტაბის უფროსმა ე. სმირნოვმა. — დასასრულს უახლოვდება კიდევ ორი შენობის მონტაჟი. საცხოვრებელი სახლების გარდა უკვე მზადაა პოლიკლინიკა, სატელეფონო სადგური, ოთხი საბავშვო ბაღი, ორი სკოლა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, უნივერსამი-უნივერმაღი და კულტურული ცენტრი. ეს უკანასკნელი თავისებურად უნიკალურია. აქ მუშაობს ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე ერთ-ერთი საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი ი. კურტანოვი. კულტურულ ცენტრში შედის 1200-ადგილიანი საკონცერტო დარბაზი და კინოფილმების საჩვენებელი ორი დარბაზი, ბიბლიოთეკა, საცეკვაო დარბაზი და დარბაზი სათამაშო ავტომატებისთვის. ასეთი დიდი უნივერსალური ნაგებობა არ ყოფილა წინა ოლიმპიადების სოფლებში. მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს ერევნელმა მემონტაჟემ ს. ბაბაიანმა და დუშანბელმა კალატოზმა ნადეჟდა ერეშჩენკომ. მშენებელთა შორის არიან ისეთები, რომელთაც სპორტი ჭეშმარიტად ეხმარებათ მუშაობაში. შრომაში საუკეთესონი — სპორტულ მოედნებზეც საუკეთესო არიან. ზეინკალი ი. სარქისიანი საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის სპარტაკიადის მონაწილე იყო, ელექტრიკოსი ი. რაბოტკინი წარმატებით გამოდის სპორტულ ორიენტირებაში შეჯიბრებაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. აქსენოვა — მძლეოსანია.

ოლიმპიური სოფლის მშენებლობაში მუშაობდნენ, აგრეთვე, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტური რაზმები. ამჟამად აქ შრომობს ტუშინოს რაიონის დამკვრელური კომკავშირული რაზმი.

დასასრულს უახლოვდება მონტაჟი სპორტული კომპლექსისა, რომელსაც ექნება 8 „სრული“ და 10 „100-მეტრიანი“ სარბენი ბილიკი, ორი მძლეოსნური სექტორი, 110×70 ზომის სამი სავარჯიშო მოედანი და ორი საფრენბურთო მოედანი, სამი დარბაზი (კრივისა და ჭიდაობისთვის, ტანვარჯიშისთვის, სათამაშო), აუზი.

16 ტრესტისა და 40 სამშენებლო სამმართველოს 2 ათასამდე მუშაკი შრომობს ოლიმპიურ სოფელში, რომელიც მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით ოჩაკოვოში მდებარეობს და 107 ჰექტარზეა გადაშლილი.

ოლიმპიური სოფლის მშენებლობა 1980 წლის 1 იანვრისთვის უნდა დამთავრდეს, ხოლო ოფიციალურად იგი გაიხსნება 28 ივნისს.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ დედაქალაქის ამ მიკრორაიონში 14 ათასამდე მოსკოველი დაბინავდება. (საკდესი).

## ლაპარაკობს და აჩვენებს მოსკოვი

**მოსკოვის** ოლიმპიადის დღეებში საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის მკვიდრნი და სტუმრები ბრწყინვალე სპორტული ზეიმის მოწმენი იქნებიან. მაგრამ ვინც ოლიმპიადის დღეებში მოსკოვში არ იქნება, მათ დახმარების ხელს გაუწვდის ტელევიზია. თუ როგორ განხორციელდება ტელევიზიის საშუალებით ოლიმპიური თამაშების გადმოცემა, გვესაუბრება ცენტრალური ტელევიზიისა და რადიოს სპორტული პროგრამების მთავარი რედაქტორი ა. ივანიცკი.

— მთელი ოლიმპიური ციკლი მოიცავს სატელევიზიო პროგრამის 400 საათს. დავგეგმეთ ოლიმპიადის ჩვენება 1, 2 და 4 პროგრამებით, ამ არხებით თამაშების მსვლელობას ნახავენ ცენტრალური ევროპის ქვეყნების სპორტის მოყვარულები, ძირითადი მაინც პირველი პროგრამა იქნება. მისი საშუალებით ტელეპროგრამები ეთერში გავა სამი „ბლოკის“ საშუალებით — დილით, შუადღით და საღამოს. აქ ტელემაყურებელი ნახავს ყველა საინტერესო ასპარეზობასა და თამაშების ფინალურ შეჯიბრებას.

ყოველდღიურად გადმოიცემა თამაშების 20-წუთიანი დღიური, რომელშიც აისახება წინა დღის ყველაზე საინტერესო სპორტული მოვლენები. მეოთხე პროგრამა მთლიანად ოლიმპიადას დაეთმობა. პრაქტიკულად ამ არხით მთელი დღის მანძილზე გადაიცემა შეჯიბრებათა მსვლელობა. ჭიდაობის, კრივის, ფარიკაობის, ველოსპორტის, ხელბურთის, ძალოსნობის მოყვარულებს საშუალება ექნებათ ნახონ წინასწარი შეხვედრები. ფინალური შეჯიბრებები კი გადმოიცემა პირველი პროგრამით. აღსანიშნავია, რომ ყველა გადაცემა ფერადი იქნება.



## „ეს იქნება სანიმუშო თამაშები“

**ჰავანა.** 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსკოვის მზადებას მაღალი შეფასება მისცა პრესის დარგში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიის თავმჯდომარემ, ესპანეთის ელჩმა სსრ კავშირში ხუან ანტონიო სამარანჩმა კუბის ჟურნალ „ბოემიას“ სპეციალური კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

— ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული ვარ 1948 წლიდან, — თქვა ხუან ანტონიო სამარანჩმა, — და შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა ხალხი მთელი სერიოზულობით ემზადება ამ მოვლენისთვის. გადაწყვეტილია ოლიმპიურ ნაგებობათა უმრავლესობის მშენებლობა ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე დასრულდეს და უეჭველია, ამ განზრახვას შეასრულებენ.

საინტერესოა, მაგალითად, სპორტის სასახლის კომპლექსი, უზარმაზარი დახურული სტადიონი. არქიტექტურული თვალსაზრისით ამ ნაგებობის მსგავსი არ არსებობს მთელს მსოფლიოში, — თქვა მან.

ხუან ანტონიო სამარანჩმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ოლიმპიადაზე ჟურნალისტებს მუშაობის საუკეთესო პირობები ექნებათ.

საბჭოთა ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა სამარანჩმა, მოსკოვის ოლიმპიადის წარმატებით ჩატარება ღირსების საქმედ მიაჩნია. ამიტომ თავს ნებას მივცემ დაბეჯითებით ვთქვა, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები სანიმუშო იქნება.

კუბელი სპორტსმენების წარმატებაზე საუბრისას ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ამ წარმატებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სკოლიდანვე სპორტში ვარჯიში. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კუბელი ჩემპიონები სწავლაშიც გამოირჩევიან. მე ვფიქრობ, რომ კუბაში იზრდებიან ახალი სპორტული „ვარსკვლავები“, რომლებიც შეძლებენ მოკრივე ტ. სტივენსონის, მორბენალ ა. ხუანტორენასა და სხვა კუბელი ჩემპიონების გვერდით დადგომას. (საკდესი).







მოსკოვი. ოლიმპიელთა სოფელი მიჩურინის პროსპექტზე გადაიჭიმება და ას ჰექტარზე მეტს დაიკავებს. ფაქტიურად ეს მთელი ქალაქია.

სურათებზე: ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი შენობა; ერთ-ერთი ბინის სასტუმრო ოთახი; მშენებლობის პანორამა.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუდენტებმა (მეზუკე). მალე ეს გოლი გაქვითა ქვანიამ, შესვენების შემდეგ კი ქობალიამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

**ასკ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი თ. გაგნიძე (თბილისი).**

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ. მეორე ტაიმში ანგარიში გახსნა ცხაკაიელმა ჩიქობავამ, ხოლო 70-ე წუთზე არმიელმა რამიშვილმა აღადგინა წონასწორობა — 1:1.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ხ. ალიხანოვი (თბილისი).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მზიური“ (გალი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მეტალურგებს, მე-80 წუთზე გაიტანა გლინიანოვმა.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).**

ანგარიში გაიხსნა მხოლოდ 72-ე წუთზე ჭიათურელი გურულის მიერ. 3 წუთის შემდეგ ზუკაკიშვილმა აღადგინა თანაფარდობა.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (თბილისი).**

**„სქური“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

შეხვედრა მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში, გარდამავალი უპირატესობით. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ წალენჯიხელ დრაჩს, რუსთაველ გოგინავას. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თ. კვარაცხელიამ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა სტუმრების კარში.

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 5:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო პირველ ტაიმში: იგი ფოთელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0. გვალიამ გაიტანა 2 გოლი, სანაიამ და ქორიძემ — თითო. შესვენების შემდეგ სანაიამ მეხუთე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარის ბადეში.

### გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 35 | 23 | 8 | 4 | 77—26 | 54 |
| „მეშახტე“ | 32 | 20 | 8 | 4 | 52—24 | 48 |
| „მეტალ.“ რ. | 33 | 21 | 6 | 6 | 52—24 | 48 |
| „მზიური“ | 32 | 19 | 5 | 8 | 52—29 | 43 |
| „მერცხალი“ | 31 | 14 | 11 | 6 | 46—26 | 39 |
| „მაღაროელი“ | 32 | 15 | 8 | 9 | 56—43 | 38 |
| „ენერგეტ.“ | 35 | 14 | 10 | 11 | 49—41 | 38 |
| „კოლხეთი“ ხ. | 34 | 13 | 11 | 10 | 34—31 | 37 |
| „ამირანი“ | 34 | 13 | 7 | 14 | 31—42 | 33 |
| „ივერია“ | 34 | 12 | 8 | 14 | 29—42 | 32 |
| ფიზკ. ინსტ. | 36 | 13 | 5 | 18 | 43—65 | 31 |
| ასკ თბ. | 29 | 10 | 10 | 9 | 32—28 | 30 |
| „სქური“ | 35 | 12 | 6 | 17 | 47—49 | 30 |
| „მეტალ.“ ზ. | 34 | 10 | 10 | 14 | 46—49 | 30 |
| „ნადიკვარი“ | 33 | 9 | 12 | 12 | 41—45 | 30 |
| „სპარტ.“ თბ. | 33 | 12 | 6 | 15 | 40—45 | 30 |
| „სპარტ.“ ც. | 35 | 10 | 9 | 16 | 51—54 | 29 |
| „ჩიხურა“ | 35 | 10 | 9 | 16 | 46—53 | 29 |
| „სალხინო“ | 32 | 10 | 9 | 13 | 40—54 | 29 |
| პოლ. ინსტ. | 33 | 12 | 4 | 17 | 50—52 | 28 |
| „დურუჯი“ | 34 | 11 | 4 | 19 | 26—47 | 26 |
| „ეგრისი“ | 34 | 7 | 11 | 16 | 27—47 | 25 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ვარძია“ (ასპინძა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:2, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „განახლება“ (ადიგენი) 0:0, „განთიადი“ (თბილისი) — „არაგვი“ (მცხეთა) 5:1, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „აბული“ (ახალქალაქი) 5:3, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0, „გიგანტი“ (გამარჯვება) — „ფიჩხოვანი“ (ალვანის საბჭოთა მეურნეობა) 2:2. თიანეთის „იორს“ გამარჯვება ჩაეთვალა გურჯაანის „ალაზანთან“.

#### II ზონა

„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 2:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ოჯალეში“ (ბანძა) 1:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:0.

### საჯარიმო დარტყმა

უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გაძევებულია აბაშის „ავტომობილისტის“ მოთამაშე ვ. ჩაგანავა. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ჭიათურელ ფეხბურთელს თ. ლომსაძეს. აღსანიშნავია, რომ ეს მოთამაშე წლეულს მეოთხედ ლებულობს გაფრთხილებას. საქართველოს ჩემპიონატის დებულების თანახმად იგი დისკვალიფიცირებულია 5 მატჩით.

გაფრთხილებები მიიღეს: ა. იორამაშვილმა („არაგვი“, მცხეთა), ე. კვინიკაძემ და ა. ჭიჭინაძემ („მეტალურგი“, ზესტაფონი), თ. ჯანგავაძემ („მაღაროელი“, ჭიათურა), ჯ. ჭითანავამ (ასკ, თბილისი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

### სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. 4 ოქტომბერი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). დასაწყისი 17 ს.

## კალეიდოსკოპი







ჩვენს დროში ძალზე ძნელია „ველოსიპედის გამოგონება“. და მაინც ამერიკელი რალფ ჰოლენბერგის ორადგილიანი ველოსიპედი უნიკალურია: რალფი წოლილი მდგომარეობაში მართავს ველოსიპედს და ამ შემთხვევაში მანქანა უფრო ნაკლებ დატვირთვას განიცდის.

* * *

აშშ. დელტოპლანერისტის „გაფრენა“ მდინარე კოლორადოს ხეობის თავზე.

* * *

ინჟინერ-მექანიკოსმა ანდრეი ივანენკომ ორმოცდაათი წლის ასაკში დაიწყო გრძელ დისტანციებზე რბენა. ახლა 65 წლის ვეტერანი მორიგ გადარბენას აწყობს კამჩატკიდან მურმანსკამდე.

## ფეხბურთი

### გფრ

5 ტურის შემდეგ 7-7 ქულით დაწინაურდა 3 გუნდი: „კაიზერსლაუტერნი“, „შალკე 04“ და დორტმუნდის „ბორუსია“.

„კაიზერსლაუტერნმა“ ძლივს მიაღწია ფრეს (0:0) ბრაუნშვაიგში „აინტრახტთან“. ხელიდან ხელში გადადიოდა უპირატესობა დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „შტუტგარტის“ საინტერესო შეხვედრაში. „შტუტგარტი“ ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა ორივეჯერ გაათანაბრეს ანგარიში. თამაშის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე ანგარიში იყო 3:3, „ბორუსიას“ ცენტრფორვარდმა გაიემ მაინც შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა — 4:3. „შალკე 04“-მა საკუთარ მინდორზე, გელზენკირხენში მოუგო „ვერდერს“ (ბრემენი) — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „კიოლნი“ 1:1, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 4:1, „ნიურნბერგი“ — „დარმშტადტ 96“ 3:2, „არმინია“ (ბილეფელდი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი) 0:2, „დუისბურგი“ — „ბოხუმი“ 1:0.

### ავსტრია

IV ტურში ლიდერი, ლინცის ვოესტ-ი ვენაში დამარცხდა ადგილობრივ „ვიენასთან“ — 0:1. ამით ისარგებლა პირველი ლიგის დებიუტანტმა, ზალცბურგის „ავსტრიამ“ და ვენის „ადმირა-ვაკერის“ დამარცხების შემდეგ (1:0) დაეწია ლიდერს. ახლა ორივე გუნდს 6-6 ქულა აქვს. ვენის „ავსტრიამ“ სძლია (3:1) „ვინერ შპორტკლუბს“ და 4 ქულა მოაგროვა.

### ესპანეთი

II ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა გაიმართა ვალენსიაში. ადგილობრივმა „ვალენსიამ“ დაამარცხა „ბარსელონა“ — 2:1.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „სევილია“ — ბილბაოს „ატლეტიკი“ 0:0, მადრიდის „ატლეტიკო“ — ალიკანტეს „ჰერკულესი“ 3:0, „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „უელვა“ 2:3, „ესპანიოლი“ (ბარსელონა) — „სპორტინგი“ (ხიხონი) 1:0, „რეალი“ (სარაგოსა) — „სელტა“ (ვიგო) 2:1, „რაიო ვალეკანო“ (მადრიდი) — „ბურგოსი“ 2:2, „რასინგი“ (სანტანდერი) — „უნიონი“ (ლას-პალმასი) 2:4.

### პორტუგალია

II ტურის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჩემპიონს — „პორტოსა“ და ლისაბონის „ბენფიკას“ შორის პორტოში დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით 1:0.

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით წინ არიან „ბელანენშეში“ (ლისაბონი), „ბრაგა“, ვარციმის „ბოვოა“ და „პორტო“.

### ჩემპიონატები, [illegible]

### საფრანგეთი

10 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს სტრასბურგის „რესინგი“, რომელმაც 17 ქულა მოაგროვა. ბოლო მატჩში ლიდერმა ანგარიშით 6:0 სძლია „ანჟეს“. მეორე ადგილზე მყოფი „ჟირონდა“ (ბორდო) სტუმრად ფრეს 0:0 დასჯერდა „სტად დე რეიმსთან“ და ახლა 13 ქულა აქვს. თანდათან შედის საბრძოლო ფორმაში ჩემპიონი — „მონაკო“. მან საკუთარ მინდორზე სასტიკი მარცხი აგემა „ნიცას“ — 6:1 და 11 ქულა მოაგროვა.

### შვეცია

16 ტურის შემდეგ 25 ქულით წინ არის „ოესტერსი“. იგი გასულ ტურში სტუმრად თამაშობდა „მალმიოსთან“ და მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა — 2:1. 22 ქულით II ადგილზეა „კალმარ ფფ“, 21-21 ქულა აქვთ „ვესტეროსა“ და „მალმიოს“.

## „მე ჯეროდა, მიზანს მივაღწევდი“

## მძლეოსნობა

ეს წერილი როსტოკელ მსოფლიოს რეკორდსმენზე 200 და 400 მეტრზე რბენაში მარიტა კოხზე მოგვითხრობს. სტატია მომზადებულია „შპორტ ეხოს“ (გდრ) მასალების მიხედვით.

21 წლის როსტოკელმა მარიტა კოხმა ხუთშაბათ საღამოს პრაღის ევროპულ ჩემპიონატზე 400-მეტრიანი დისტანცია მსოფლიო რეკორდით მოიგო — 48,94 წმ. ხწორედ ამის შემდეგ შედგა ეს საუბარი.

**„შპორტ ეხო“: 200 მეტრის შემდეგ თქვენ საკმაოდ დაწინაურდით. რა გქონდათ ჩაფიქრებული?**

კოხი: ჩემი გეგმა დისტანციის სწრაფ დაფარვაში მდგომარეობდა. 200 მ 22,4 წამში უნდა დამეფარა და შევძელი კიდეც. 300 მეტრიც ასევე სწრაფად მინდოდა გამერბინა. ვიცოდი, რომ თუ ასეთი საშუალედო მაჩვენებლები მექნებოდა, გამარჯვებას ვიზეიმებდი.

**„შპორტ ეხო“: დისტანციაზე თქვენთვის საიდან იქნებოდა ცნობილი საშუალედო შედეგები?**

კოხი: მართალია, ტემპის განსაზღვრა ზუსტად არ შემეძლო, მაგრამ მე და ჩემს მწვრთნელს შორის შეჯიბრებისას ერთგვარი კავშირი არსებობდა. როდესაც 200 მეტრი ძალიან კარგად გავირბინე, მან დაუსტვინა.

**„შპორტ ეხო“: ალბათ თქვენ ირინა შევინსკასაგან უფრო მეტ წინააღმდეგობას მოელოდით.**

კოხი: უკანასკნელ 100 მეტრამდე ვფიქრობდი, რომ მას შეეძლო წამოწეწოს.

**„შპორტ ეხო“: თქვენ გჯეროდათ, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდით?**

კოხი: არა, არ მიფიქრია.

პრაღაში, ევროპის ჩემპიონატს მრავალი სპორტული ექსპერტი ესწრებოდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ერთი წლის წინათ 100 მეტრიან დისტანციაზე მარლის გიორმა 10,88 წამი აჩვენა. მარიტამ კი ასეთივე შედეგით 400-მეტრიანი დისტანციის პირველ საფეხურზევე გაირბინა. ელექტრონული ტაბლო 200 და 300 მეტრის შემდეგ შესაბამისად 22,90 და 34,90 წამს აღნუსხავდა. ასეთი შეალედური მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიო რეკორდი აუცილებლად უნდა დამყარებულიყო. ეჭვიც არ იყოს, ამგვარი საშუალედო მაჩვენებლები 400 მეტრზე რბენაში არც ერთ ქალს არა ჰქონია.

— შარშან სტარტის შემდეგ 200-მეტრიან ეტაპზე ასეთი სისწრაფე დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. გამოგიტყდებით, რომ მაშინ მარიტა თუ ამას შესძლებდა, არა მჯეროდა, — ამბობს მისი მწვრთნელი ვოლფგანგ მაიერი. — მაგრამ ჩვენი ხანგრძლივი ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ დამაჯერებლობა თანდათან იზრდებოდა. როდესაც პრაღაში მარიტას რბენას ვუყურებდი, უკვე არარაფრის შიში აღარ მქონდა. მჯეროდა, რომ მარიტა მიზანს მიაღწევდა.

მსოფლიოს რეკორდსმენმა 200 მეტრზე რბენაში — მარიტა კოხმა თავისი საყვარელი დისტანცია 400 მეტრს ანაცვალა. იმიტომ კი არა, რომ 200 მეტრზე გამოსვლა უძნელდება, უბრალოდ, 400 მეტრიანი დისტანცია უფრო მეტად მოსწონს, თუმცა 200 მეტრზე თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებაზე მაინც ფიქრობს, მით უმეტეს ახლა, როცა ევროპის ჩემპიონატის ფინალი უკვე დამთავრებულია, მის მსოფლიო რეკორდს — 22,06 წამს, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებულის შედეგი — 22,52 ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

— არ ვკამათობ, რომ ორივე დისტანციაზე გამარჯვებაც მეტად წარმტაცი და მაცდუნებელიც კია, — ამბობს კოხი. — მაგრამ ისე დიდია საწვრთნელი პროგრამა, დატვირთვა, იმდენად დიდი დრო მიაქვს საწყისი, საშუალედო და დამამთავრებელი რბენის დახვეწას, რომ იძულებული ვარ რომელიმე სურვილი უარვყო.

ეს პრობლემები ათლეტმა და მისმა მწვრთნელმა კარგად განსაჯეს, მაიერმა თავისი აზრი ნათლად გამოხატა შემდეგ სიტყვებში:

— მე ორმაგ სტარტს არ ვეთანხმები. ევროპის ჩემპიონატით არ დამთავრებულა ჩვენი გეგმები. უკვე ოლიმპიური თამაშებისთვის ვფიქრობთ. იქ რომ გამარჯვებას მიაღწიო, ამისთვის საკუთარი ძალები გადაჭარბებულად არ უნდა შეაფასო. მარიტა 400-მეტრიან დისტანციაზე მორბენალია. ამას იგი თვითონაც ხშირად ამბობს, როდესაც კი ამის შესახებ ეკითხებიან.

კოხი ორ სკამს შუა არ ზის. მან იცის, თუ სადაა მისი ადგილი და რაა მისი მოწოდება.

გერმანულიდან თარგმნა ზ. ლამბაშიძემ.

## ავილანჟი — სპორტის მინისტრი

ფიფა-ს პრეზიდენტი ჟ. ავილანჟი, როგორც საზღვარგარეთის პრესა იუწყება, ამ მოკლე ხანში ბრაზილიის მთავრობის წევრი გახდება და სპორტის მინისტრად დაინიშნება. როგორც თვით ავილანჟმა ამას წინათ ნიცაში (საფრანგეთი) განუცხადა ჟურნალისტებს, მისი ახალი თანამდებობა თავისი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას არ მოასწავებს. ამ პოსტზე ავილანჟი 1982 წლამდე დარჩება და ყველაფერს იღონებს, რათა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა რიცხვი 16-დან 24-მდე გაიზარდოს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირადღისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-07-50; რედაქტორის მოადგილე — 93-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-07-58; განყოფილებები: ფეხბურთი — 93-81-71, 93-07-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-07-55; სპორტის პრობლემების — 93-07-54; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93-07-53; ქალაქის — 93-07-20, სამხედრო — 93-07-52; წერილების — 93-07-54; კორექტორი — 93-07-49; გამომცემლობა — 93-58-81; ფოტოლაბორატორია — 93-07-53; მემანქანეები — 93-07-57.
ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10394